სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“
დამატების შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ნანა შარაბიძე
წევრი: ქეთევან ღვანიძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღა“**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: **246954620**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 11 იანვრის №13642 ბრძანებით შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში - ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

1. ნანა შარაბიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. ქეთევან ღვანიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - კოლეჯის „ახალი ტალღა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება რისთვისაც ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი სსიპ-კოლეჯში "ახალი ტალღა" 2023 წლის 20 იანვარს ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქ.№154

ვიზიტი წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის მიხედვით თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა საგამნამათლებლო პროგრამის განხორციელებისთის საჭირო მარეგულირებელი დოკუმენტები, საგანმანათლებლო სივრცეები და მათი აღჭურვილობა, საგანმანათლებლო რესურსების საბიბლიოთეკო სივრცეში არსებობა, პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა სსიპ-კოლეჯის "ახალი ტალღა“ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიულ მასწავლებლებს.

ჯგუფმა შეაჯამა ვიზიტის პერიოდში გამოვლენილი ძირითადი მიგნებები, რომლებიც გააცნო კოლეჯის ადმინისტრაციას და ყველა დაინტერესებულ პირს (თანამშრომლებს).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

–

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამას „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ იმატებს ახლა.

ჩვენი ვიზიტის ფარგლებში არ გადაუმოწმებია წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება, ვინაიდან გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ მონიტორინგის ვიზიტი იმავე დროს მიმდინარეობდა, შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია მონიტორინგის დასკვნაში იქნება წარმოდგენილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

- *არ გამოვლენილა*

VII. რეკომენდაციების შეჯამება

- *არ გაცემულა*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა და განათლება
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში/Higher Vocational Qualification in Preschool Education
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 დეკემბრის N 01-04/236 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	აჭარა, ქობულეთი, რუსთაველის №154
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	45 პროფესიული სტუდენტი, აჭარა, ქობულეთი, რუსთაველის №154
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116 კრედიტი
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146 კრედიტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურა განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის მიერ 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით“. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად კოლეჯში პროფესიული პროგრამის დამატების შესახებ ინიცირება ხდება წერილობითი ფორმით, რის საფუძველზეც კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი მოიპოვებს ინფორმაციას და წარმოადგენს „პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებას“. პროგრამის დამატების ინიციატივას და მის მიზანშეწონილობას იხილავს კოლეჯის დირექტორი დირექტორის მოადგილესთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, შესაბამისი დარგის სპეცილისტებთან ერთად. გადაწყვეტილებას პროგრამის დამატებისა და პროგრამის განხორციელების მიდგომის შესახებ ღებულობს კოლეჯის დირექტორი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლსაც ხელმძღვანელობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფში შედიან დარგობრივი და ზოგადი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები, სასაწავლო პროცესის მენეჯერი ან/და სასწავლო-საწარმოო პრატიკის მენეჯერი. სასაწავლო პროცესის მენეჯერი ან/და სასწავლო-საწარმოო პრატიკის მენეჯერი, რომელიც უშუალოდ სამუშაო ჯგუფთან ერთად მუშაობს სასწავლო გეგმის შედგენაზე.

სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული და ადაპტირებული პროფესიული პროგრამის პროექტი საჭირო დანართებით ვალიდაციისთვის წარედგინება ხარისხის მართვის მენეჯერს, რომლის დადებითი დასკვნის შემთხვევაშიც პროექტი დასამტკიცებლად გადაეცემა დაწესებულების დირექტორს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია პროფესიული პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ მიზანშეწონილობის დასაბუთება, რომლის თანახმადაც ვგებულობთ, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზნით, სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღის“ მიერ, განხორციელდა შრომის ბაზრის ანალიზი სხვადასხვა კვლევებისა და ანგარიშების მოკვლევაზე დაყრდნობით. დაწესებულებამ შრომის ბაზრის მიმოხილვითი ანალიზის დროს იხელმძღვანელა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სხვადსხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებული საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზითა და მოკვლევით. დაწესებულებისათვის აღნიშნული პროგრამის დამატების მიზანშეწონილობად ასევე განისაზღვრა ააიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2022 წლის 19 დეკემბრის #1623409 წერილი, რომლის თანახმადაც ბაღების გაერთიანების დირექტორი კოლეჯის ადმინისტრაციას მიმართავს თხოვნით ბაღის აღმზრდელის კვალიფიკაციის მქონე პირების მომზადების შესახებ და გამოთქვავს აღნიშნული კვალკიფიციური კადრის საჭიროებას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ კოლეჯი 2017 წლიდან ახორციელებდა მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“, რის გამოც დაწესებულებას მიაჩნია რომ აქვს მსგავსი პროგრამების განხორციელების გამოცდილება და ამასთან კოლეჯის ორგანიზაციული მოწყობა იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. კოლეჯში ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების სრულფასოვან ადმინისტრაციულ მხარდაჭერას დაგეგმვის, კონტროლის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტთათვის სრულფასოვანი სერვისების მიწოდების კუთხით.

გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ დამატებასთან დაკავშირებით გამომდინარეობს კოლეჯის სტრატეგიული გეგმიდან და შეესაბამება დაწესებულების მისიას. კოლეჯის მისიაა: „პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოებით და თავსებადობით, მრავალპროფილური პროფესიული განათლებით წვლილი შევიტანოთ ქვეყნის ეკონომიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განვითარებაში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მიწოდებით. სოციალური ინკლუზიით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით უზრუნველყოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდა."

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას.

სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებული სხვა პროცედურები გაწერილია დაწესებულების 2021 წლის 23 აგვისტოს N 01-04/128 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვის წესში“ (ცვლილება 14.03.2022 N 01-04/51) რომელიც ითვალისწინებს ჩარიცხვის პროცესთან დაკავშირებულ ყველა პროცედურას, როგორიცაა პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები; აპლიკანტთა რეგისტრაცია და შერჩევა; გასაუბრებაში/ტესტირებაში მონაწილეობის უფლება; აპლიკანტთა ჩარიცხვა; პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, მობილობის წესები.

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

დაწესებულების მიერ შემუშავებული პროესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 14 იანვრის # 01–04/6 ბრძანებით, განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს, პროგრამის განხორციელების მიდგომას, პროგრამის სპეციფიკას, პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რენტაბელობის ზღვარს და ა. შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ დაწესებულება ითხოვს 45 პროფესიული სტუდენტის მიღებას. დაწესებულების მიერ სწავლებისათვის გამოყოფილი გარემო საშუალებას იძლევა მიიღოს 45 პროფესიული სტუდენტი ორი ცვლის გათვალისწინებით.

4.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და სასწავლო რესურსი, რომელიც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ მოდულში. აღნიშნული რესურსი გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამით და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას.

5.საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.

არჩევითი მოდულები არ აქვს.

6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 დეკემბრის N 01-04/236 ბრძანებით.

პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება განსაზღვრულია დაწესებულების დირექტორის მიერ 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

და განვითარების მეთოდოლოგიით“, აღნიშნულიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ.

7.პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

პროგრამის დასახელება შეესაბამება პროგრამის შინაარსს. დაწესებულების მიერ შემუშავებული პროგრამის სახელწოდებაა „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“, იგი არ არის შეცდომაში შემყვანი ვინაიდან შეესაბამება პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული სკოლამდელი აღზრდის პროფესიასთან. პროგრამის სწავლის შედეგებია: 1. ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით; 2. მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა; 3. ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება; 4.წარმატებული,უსაფრთხო,მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის „აღმზრდელი“ საფუძველზე და მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში.

8.პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები.

პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის. რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს.

მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია, აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11 (3 მოდული), პროფესიული/დარგობრივი მოდულების 105 კრედიტი (24 მოდული)

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია.

დაწესებულების მიერ წარმოდეგნილი საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- ააიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების დირექტორის 2022 წლის 19 დეკემბრის #1623409 წერილი;
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 დეკემბრის N 01-04/236 ბრძანება
- საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები;
- სასწავლო გეგმა.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B გარემო.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მიერ მოხდა საგანმანათლებლო სივრცეების გადამოწმება, დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს შესაბამისად აღჭურვილი ორი A გარემო 15-15 პროფესიულ სტუდენტზე და ასევე შესაბამისად აღჭურვილი ერთი B გარემო, ასევე 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი.

საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ არ ითვალისწინებს საწარმოო პრაქტიკას, შესაბამისად პროგრამის ყველა მოდულის სწავლის შედეგების დადასტურება მოხდება დაწესებულებაში. ამავე დროს კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანებასთან (22.12.2022 #01–42/40), რომლის მიხედვით მოდულის „გაცნობითი პრაქტიკა“ სასწავლო ექსკურსიის ფარგლებში კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების დაშვება მოხდება რეალურ სამუშაო გარემოში, ბაღების გაერთიანების ობიექტებში, საბავშვო ბაღებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯისა და პარტნიორი კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 22 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელი, აქედან 5 პროფესიული მოდულის, ხოლო 17 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პირი, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. თითოეულ ხელშეკრულებაში განსაზღვრულია პროფესიული მასწავლებლის დატვირთვა და უფლება-მოვალეობები, მოდულების დასახელება, რომლის განსახორციელებაც ევალება კონკრეტულ პირს, სამუშაოს ანაზღაურების, შვებულებისა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესები.

პროფესიულ მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ძირითადი მოვალეობები და ფუნქციები, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო კომპეტენცია და უნარები განსაზღვრულია წინარე ხელშეკრულების დანართით.

კოლეჯის მიერ პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების პროფესიული განათლების განმახორციელებელ პირებს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ აღნიშნული პიროვნებები დაკავებულ პოზიციაზე შეირჩნენ კვალიფიკაციისა და მათი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სამუშაო გამოცდილების შესაბამისად. ყველა მათგანს აქვს პრაქტიკული გამოცდილება აღნიშნულ პროფესიაში. გასაუბრებიდან გაირკვა, რომ პროგრამის განხორციელებისათვის შერჩეულ მასწავლებლებს კოლეჯში განხორციელებული ძველი პროგრამის ფარგლებში აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილებაც, მუდმივად მიმდინარეობს მათი დატრენინგებაც, ასევე პროფესიულ მასწავლებლების უმრავლესობას გავლილი აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი.

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა შეისწავლეს პროფესიული პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ განმახორციელებელთა პირადი საქმე, რითაც დადასტურდა კოლეჯის მიერ შერჩეული პროფესიული მასწავლებლების გამოცდილება და კვალიფიკაცია.

ყველა მათგანი აღნიშნულ დარგში პრაქტიკოსია და აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

დაწესებულებას პროგრამის ხელმძღვანელად შერჩეული ჰყავს კომპეტენტური, დარგის სპეციალისტი, რომელიც აღნიშნულ პოზიციაზე დანიშნულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 19 დეკემბრის N01-04/233 ბრძანებით.

პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია მოვალეობები, გაწერილია მასთან გაფორმებული ხელშეკრულების დანართში, აღნიშნული დოკუმენტის თანახმად პროგრამის ხელმძღვანელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის ადაპტირება–შემუშავებაში, განმახორციელებელი პერსონალის შერჩევაში, საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრაში, დარგში სიახლეების გაცნობა–დანერგვაში და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად და მისი პირადი საქმის შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას აქვს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია, იგი ჩართული იყო საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირების პროცესში, მონაწილეობდა პროფესიული პროგრამის განმახორციელებელთა შერჩევაში, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო გეგმის შემუშავებაში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას პროფესიული პროგრამის განხორციელებისათვის ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ექსპერტების მიერ გადამოწმდა დაწესებულების ბიბლიოთეკა, დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში ელექტრონული და ნაწილობრივ მატერიალური სახით, სასწავლო რესურსი ჩატვირთულია კოლეჯში არსებულ კომპიუტერში. მატერიალური სახით არსებული ლიტერატურა დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.
ბიბლიოთეკა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში განთავსებულია 6 კომპიუტერი და 2 პერსონალური კომპიუტერი.
ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

დაწესებულების ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად: მას აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემო. პანდუსი შენობის მთავარ შესასვლელში, ლიფტი და სველი წერტილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა გაწერილია დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგურილებელ წესში (მუხლი 18). დოკუმენტის თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროება დგება შემდეგ შემთხვევებში: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის (სსსმ პირებისთვის), პროფესიული სტუდენტის მობილობისას (საჭიროებისამებრ), სტატუსაღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის (საჭიროებისამებრ), მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას;

ინტერვიუირების დროს აღინიშნა, რომ სსსმ პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება შემდეგნაირად: პროფესიული განათლების მასწავლებელი/ინსტრუქტორი მიმართავს კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მონიტორინგის სპეციალისტს სასწავლო პროცესზე დასწრება-დაკვირვების მიზნით.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების დადასტურების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მენეჯერი ან სასწავლო პროცესის სპეციალისტი სასწავლო პროცესის მენეჯერთან კოორდინირებით, შესაბამისი მოდულის/სწავლის შედეგის პროფესიული განათლების მასწავლებელთან/ინსტრუქტორთან და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ერთად გონივრულ ვადაში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის კანონიერი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩართული იყოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში. შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარედგინება დირექტორს დასამტკიცებლად.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება მიმართოს სწავლების განსხვავებულ მეთოდებს და სტრატეგიებს; გამოიყენოს პროფესიული სტუდენტისთვის / მსმენელისთვის ეფექტური სწავლება - სწავლის მეთოდი; პროფესიული სტუდენტისთვის / მსმენელისთვის დაადგინოს საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემა; შეცვალოს პროფესიული სტუდენტისთვის / მსმენელისთვის ოპტიმალური სასწავლო გარემო; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს დამატებითი ადაპტირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ტექნიკური აღჭურვილობა; გამოიყენოს საჭირო რაოდენობით სასწავლო მასალა და ნედლეული; შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ შედგენილია სავარაუდო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. სავარაუდო ბიუჯეტის რენტაბელობის ზღვარი გაანგარიშებულია 10 პროფესიულ სტუდენტზე.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებებით;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 19 დეკემბრის N01-04/233 ბრძანება.
- პროგრამის განმახორციელებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- პროგრამის ბიუჯეტი

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

კოლეჯში მოქმედებს დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222(ცვლილება 2021 წლის 29 ნოემბრის N01-04/212) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“, რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“ და 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“, რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, არამედ პროგრამის შეფასებისა და განვითრების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს. პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. ამ მიზნით კოლეჯში მოქმედებს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“ ასახული გამოკითხვის მეთოდოლოგიები და დანართების სახით წარმოდგენილი კითხვარები, კერძოდ: პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით; პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით; დულური პროგრამების ინსტრუქტორის კითხვარი; კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის; პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების მიზნით.

აღნიშნული კითხვარები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, სოციალური პარტნიორებისგან, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს. ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ ანალიზის დროს კოლეჯი ასევე ითვალისწინებს სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგებსაც. სწავლების ერთი ციკლის დასრულების შემდეგ კოლეჯი აანალიზებს პროგრამის განხორციელების მიმდინარეობას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილებები „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ შესაბამისად.

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე - განახორციელე - შეაფასე - გადახედე/ გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხი რეგულირდება 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222(ცვლილება 2021 წლის 29 ნოემბრის N01-04/212) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმით“ და 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგიით.“ კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით არსებობს ხარისხის მართვის მენეჯერის და ხარისხის მართვის სპეციალისტების საშტატო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ერთეულები. პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობებისა და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე.

პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 2020 წლის 25 დეკემბრის N01- 04/222(ცვლილება 2021 წლის 29 ნოემბრის N01-04/212) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- 2021 წლის 20 მაისის N01-04/66 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია“

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ისეა შედგენილი, რომ უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო პროცესის განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, სასწავლო გეგმებში დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის; სასწავლო გეგმები აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯში დანერგილი პრაქტიკით, სასწავლო გეგმებისა და საათების განაწილების ტარიფიკაციის შესაბამისად ხდება გაკვეთილების განრიგების - ცხრილების შემუშავება. პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე ადგენენ კალენდარულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

გეგმებს კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222 ბრძანებით (ცვლილება 2021 წლის 29 ნოემბრის N01-04/212) დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებში“, მოცემული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად. პროგრამის განხორციელების ციკლის დასრულების შემდეგ შესაძლებელია მიღებული გამოცდლების გათვალისწინებით დადგენილი წესით გადაიხედოს არსებული სასწავლო გეგმები და გაუმჯობესების მიზნით შეიცვალოს ის, რაც პროგრამაში ცვლილებების შეტანის შესახებ აქტით გაფორმდება.

2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ კოლეჯში სწავლა მიმდინარეობს ორ ცვლაში, პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების, კერძოდ, სასწავლო გეგმებით განსაზღვრული პროგრამის ხანგრძლივობის და დასრულებისათვის მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით. თუმცა, ზოგჯერ არსებობს გარემოებები, მაგ, ფორს-მაჟორული გარემოებები, როცა სასწავლო გეგმის დაცვა ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევებში სტუდენტთა ინტერესების დაცვის მიზნით კოლეჯი მოქნილად რეაგირებს მსგავს გარემოებებზე. მაგ, ეს შეიძლება იყოს სასწავლო გეგმის ცვლილება, ან სასწავლო პროცესის დისტანციურად დაგეგმვა. შეიძლება შეიქმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ან საჭიროების შემთხვევაში ჩატარდეს დამატებითი მეცადინეობები/კონსულტაციები. ასევე, კოლეჯში შშმ პირებისათვის, საჭიროების შემთხვევაში, იქმნება შესაბამისი სასაწავლო გარემო.

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

პროგრამა აღჭურვილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. ინტერვიურებისას აღინიშნა და მასალების გადამოწმებით დასტურდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს უტარდებათ ტრენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები ,,სწავლებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

და შეფასების საკითხებზე“, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით. ასევე, კოლეჯი უზრუნველყოფს სხვადასხვა მიმართულებით მასტერკლასების ჩატარებას, მასწავლებლებს შორის სწავლება - შეფასების ნაწილში გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით აორგანიზებს სამუშაო შეხვედრებს, რომლის დროსაც მასწავლებელებს საშუალება აქვთ გაეცნონ დარგის ტექნოლოგიურ სიახლეებს. აგრეთვე, კოლეჯს აქვს დარგის მოქმედი ექსპერტების მოწვევის ან/და პარტნიორ საწარმოებში მასწავლებელთა პერიოდული ვიზიტების ორგანიზების გამოცდილება.

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლები სწავლებისას ითვალისწინებენ პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. რაშიც მათ ეხმარებათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“. საჭიროების შემთხვევაში იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა სტატუსშეჩერებული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში, მობილობა, პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები. აღნიშნული საკითხები რეგულირდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურით, რომელიც საჭიროების დაზუსტების და სტუდენტის ჩართულობის გზით უზრუნველყოფს მისთვის ყველაზე ოპტიმალური სასწავლო გეგმის შედგენას და დამტკიცებას.

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა მოდულის განხორციელებას კოლეჯი გეგმავს დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეში. ამავე დროს დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებასთან, მათი მხრიდან აღნიშნული პროგრამის განხორციელების ფარგლებში, ხელშეწყობას მხარდაჭერას ითვალისწინებს.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში მოქმედებს 24.07.2020 წლის N01-04/124 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ლაბორატორიებისთვის შრომის უსაფრთხოების წესი, რომელიც სასწავლო ლაბორატორიაში თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული და რომლის გაცნობასაც პროფესიული სტუდენტები აფიქსირებენ ხელის მოწერით. პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თან განმახორციელებელ დაწესებულებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტებისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას.

პროგრამის სასწავლო გარემო აღჭურვილია ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ არ საჭიროებს სპეციფიკურ სასწავლო/ სამუშაო გარემოს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამა სკოლამდელი აღზრდა და განათლება;
- პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწ ავლოსაწარმოსთან/ გაფორმებული ხელშეკრულებები მემორანდუმები - ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება“;
- დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი - 24.07.2020 წლის N01-04/124 ბრძანება დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ლაბორატორიებისთვის შრომის უსაფრთხოების წესი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- დირექტორის13/07/20 20 წლის N01-04/112 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 09.11.2022 წლის N01-04/214 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

კოლეჯში სტუდენტთა შეფასება ხორციელდება პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეგულაციების მიხედვით. მოქმედი შეფასების სისტემა არის სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური და სამართლიანი. სტუდენტთა შეფასების პროცესი კოლეჯში რეგულირდება 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 30.12.2022 წლის N01-04/246 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, კერძოდ ამ წესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესაბამისად მოქმედებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა, რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტი წარედგინება სასწავლო პროცესის მენეჯერს ტექნიკური მხარის შესამოწმებლად და პროგრამის ხელმძღვანელს შინაარსობრივი მხარის შესამოწმებლად. აქვე აღწერილია, თუ როგორ იქცევა სტუდენტი განმსაზღვრელი შედეგის უარყოფითი შეფასების მიღებისას, სტუდენტთა კონსულტირება, კვალიფიკაციის მინიჭება და მტკიცებულებების შენახვა. ამავე დოკუმენტში აღწერილია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესი

ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა 2020 წლის 13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 30.12.2022 წლის N01-04/246 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომლის მიხედვითაც წესს დაემატა შუალედური და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი, ასევე მოხდა პროფესიული სტუდენტის მობილობის წესში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინება და ასახვა.

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის მიზნით კოლეჯში მოქმედებს 2020 წლის 25 დეკემბრის N01-04/222(ცვლილება 2021 წლის 29 ნოემბრის N01-04/212) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“ აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი. შიდა ვერიფიკაციის პროცესში ასევე ჩართულია ხარისხის მართვის სპეციალისტები, დარგის სპეციალისტები. ამ დოკუმენტის მიხედვით ნებისმიერი სახის შეფასება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პრინციპებს: ვალიდურობა; სანდოობა; გამჭვირვალობა; სამართლიანობა; ობიექტურობა.

შესაბამისად, შეფასების პროცესში შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შემოწმება არის მექანიზმი იმის შესაფასებლად, ხორციელდება თუ არა პროფესიული სტუდენტის შეფასება სტანდარტის მიხედვით, მოწმდება მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე და გაკეთებული შეფასებების ობიექტურობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

კოლეჯში ვერიფიკაცია სამი მიმართულებით ხორციელდება: 1. შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია; 2. პროცესის ვერიფიკაცია; 3. მტკიცებულებების ვერიფიკაცია. შერჩევა ხორციელდება რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით. ვერიფიკატორის მიერ მუშავდება ვერიფიკაციის დასკვნა, დასკვნების განხილვა ხორციელდება ჩართულ მხარეებთან, რომლებიც ერთობლივად მუშაობენ პრობლემების აღმოფხვრის გზებზე და ახორციელებენ შემდგომ ნაბიჯებს შეფასების სისტემის განვითარების მიზნით. ამავე დოკუმენტით დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტის ფორმა; შეფასების ინსტრუმენტის ტექნიკური მხარის და შინაარსობრივი ნაწილის შემოწმების ფორმა; შეფასების პროცესზე დაკვირვების ფურცელი; შეფასების ფურცელი; ვერიფიკაციის დასკვნა.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ჩატარებული ვერიფიკაციის პროცესის ამსახველ დოკუმენტებს.

შესაბამისად, დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემებისა და მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კოლეჯი არეგულირებს 2020 წლის13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება 30.12.2022 წლის N01-04/246 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“, რომლის მიხედვითაც კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ მტკიცებულებები გადაეცემა არქივს შენახვის მიზნით. მტკიცებულებები 3 წლის ვადის გასვლის შემდეგ, ერთი თვის ვადაში ნადგურდება ან მოთხოვნის შემთხვევაში გადაეცემა პროფესიულ სტუდენტს. მტკიცებულებები დაცულია უწყისის გაფორმებიდან სამი წლის ვადით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ - მუდმივად.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2020 წლის13 ივლისის №01-04/112 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება 30.12.2022 წლის N01-04/246 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ კოლეჯში რეგულირდება შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტენტთა ინფორმირების, კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, კოლეჯში ხორციელდება სტუდენტთა შედეგების შეფასების მონიტორინგი. სტუდენტები იღებენ უკუკავშირს მათ მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით. უკუკავშირის დროს დაცულია მათი პერსონალური მონაცემები. სტუდენტთა შეფასების შედეგები ასევე გამოიყენება პროგრამების განვითარების კუთხითაც. ამ შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება შეიცვალოს მოდულების რიგითობა სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი ან საგანმანათლებლო რესურსები და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- 13.17.2020 წლის №01- 04/112 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 30.12.2022 წლის N01-04/246 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ შემავალი სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი;
- 13.17.2020 წლის №01- 04/112 ბრძანებით დამტკიცებული (ცვლილება 30.12.2022 წლის N01-04/246 ბრძანებით) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“ შემავალი გასაჩივრების დამტკიცებული პროცედურები;
- 25.12.2020 წლის N01- 04/222 (ცვლილება 2021 წლის 29 ნოემბრის N01-04/212) ბრძანებით დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი ჩაბარებულია დასკვნის პროექტთან ერთად.

07.02.2023 წ.
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---